ᲤᲐᲡᲘ 10 Კ.
ᲐᲕᲘᲠᲐ 21 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ
№ 47 (283)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲐ“

ᲔᲒᲠᲔᲓᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ „ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ“ ᲙᲝᲜᲤᲘᲠᲔᲜᲪᲘᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲗᲐᲜ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ, ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲛᲘᲐᲚᲬᲘᲐ.

— ᲛᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲠᲣᲚᲔᲢᲙᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲛᲝᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲔ ᲓᲐᲛᲠᲩᲔᲑᲐ!

„ᲠᲣᲚᲔᲢᲙᲐ“

აჰ, მაგას ვერ შესძლებს

ქარხნის მუშებმა მოისმინეს ქალაქის საბჭოს საანგარიშო მოხსენება საბჭოს საქმიანობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. მიუთითეს ნაკლზედაც.

ახალი ნაკაზის გამოსამუშავებლად აირჩიეს კომისია, რომელიც ხუთი კაცისაგან შესდგებოდა.

კომისიამ მეორე დღესვე მოიწვია სხდომა და შეუდგა ნაკაზის შედგენას.

— რა დავავალოთ ახალ საბჭოს ამხანაგებო, აბა შემოიტანეთ წინადადებები!

— რა უნდა დაავალო, თუ რაიმე შეუძლია ისეც გააკეთებს,—შეეკამათა კომისიის ერთ-ერთი წევრი, სახელად მარკიანე.

— გააკეთებს რომელია, ჩვენ თითონ უნდა დავავალოთ. აბა, წინადადებები!

— შეიტანე პირველ მუხლად:

— წელსვე დამთავრდეს მუშათა უბნების კეთილმოწყობა! განაცხადა ერთმა.

— ვერ დაამთავრებს, ტყუილად რათ შეგაქვს,—ჩაერია მაკრიანე,—ჯობს ასე დავსწეროთ: „მიზანშეწონილად იქნას ცნობილი გარეუბნების მოწყობა“.

— მიზანშეწონილად რას ჰქვია, უნდა დამთავრდეს,—გაჯავრებით უპასუხა თავ-რემ და ჩასწერა პირველი მუხლი.

— დასწერე მეორე:

— „ერთი თვის ვადაში ჩვენს ქარხანასთან მოეწყოს დახურული გამანაწილებელი“.

— კაცო, ხომ არ გაგიჟდი,—შეეკამათა მარკიანე,—ვინ მოგიწყობს დახურულ გამანაწილებელს! მაგას ჩვენი კოოპერაცია ვერ შესძლებს. უკეთესია ჩავწეროთ: „მიზანშეწონილად იქნას ცნობილი დახურული განმანაწილებელი“.

ალარ დააცალეს მარკიანეს.

— შემდეგი!

— ჩასწერე მესამედ:—ქარხანასთან გაიხსნას ბავშთა ბაგა, გაფართოვდეს მუშათა სასადილო“.

— ვაჟო, მე მკითხეთ თქვენ, საბჭო ვერც ბაგას მოაწყობს და ვერც სასადილოს გაფართოებაში დაგვეხმარება, სადაა მაგის თანხები? ჩემი წინადადებაა ჩავსწეროთ: „სასურველად იქნას მიჩნეული ბავშთა ბაგა და სასადილო“ შეიტანა „წინადადება“ მარკიანემ. კომისიის წევრებს გაეცინათ ამ სისულელეზე.

— შემდეგი!

— შეიტანე მეოთხედ:— „საბჭოს ევალება ახლავე შეუდგეს საგარეუბნო მეურნეობის მოწყობას ბოსტნით, საძოვარ ფერმით, ჯიშიანი ღორებითა და ქათმებით“.

— ვერ შეუდგება, გენაცვათ ვერა,—აწუწნდა მარკიანე,—რომც შეუდგეს ვერ მოაწყობს... სად შეუძლია საბჭოს მეურნეობის მოწყობა სად იშოვის ჯიშიან ღორს და ფრინველებს, სადაა ბოსტნის თესლი?!.. აჰ, ამოვშალოთ...

— მეხუთე!

— „საბჭომ გადამჭრელი ზომები მიიღოს მუშათა მომარაგების გასაუმჯობესებლად, აღმოფხვრას ბიუროკრატიზმი აპარატში და გაამუშაოროს იგი“.

— ნამეტანი კატეგორიულია ყმაწვილო,—კვლავ ჩაეჩხირა მაკრიანე,—მაგას საბჭო სად შესძლებს? მე მგონია ასე აჯობებს: „სასურველად იქნას ცნობი...“

კომისიის ერთმა წევრმა კინაღამ თავში ჩაარტყა მარკიანეს, მაგრამ იგი შეაკავეს.

— მეექვსე!

— „საბჭომ უზრუნველყოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის კოლექტივიზაციის და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის ? ლშევიკური ტემპები“.

უცებ წამოხტა მარკიანე.

— ეს საუკეთესო მუხლია,—დიპლომატიურად დაიწყო მან, რადგან შეატყო, რომ ლაპარაკს არ დააცლიან, —მაგრამ მე მგონია, უნდა შევასწოროთ, სახელდობრ, ამოვიღოთ სიტყვა „ბოლშევიკური“ და ჩაუმატოთ „შეძლებისდაგვარი“ ტემპები... შემდეგ, ამოვშალოთ კოლექტივიზაცია და კულაკის მოსპობა... კულაკობა ისედაც ლიკვიდაცია ქმნილია...

უკანასკნელი სიტყვები უკვე კარებში გაფრენის დროს წარმოსთქვა მარკიანემ.

— „რა მწარე პანღური სცოდნია მაგ შეჩვენებულს“ —მწარედ ფიქრობდა იგი კომისიის თავმჯდომარეზე,— მაგას თუ ასეთი ამოკვრა შეეძლო ალარ მეგონა, ალბათ ესეც ჩემი მემარჯვენეობის ბრალია“...

— ერთი აშკარა ოპორტუნისტი შემოგვეპარა კომისიაში, მაგრამ იცოცხლეთ იმას ამოვსცხეთ საკადრისი. —ესე დაიწყო კომისიის თავმჯდომარემ საერთო კრებაზე, სადაც პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

ტერსიტი.

სწორი რეცეპტი

— **კულაკი:** ძალიან მომერია სიმსუქნე და რას მირჩევ, რომ გავხდე? წავიდე ექიმთან თუ არა?

— **ექიმი** რად გინდა! საბჭოების არჩევნები იწყება და, ისედაც გახდები ჯავრისაგან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგეგმავები

თავი პირველი.

პეტრე ივანესძე მავნებლიძე ღრმად ჩაფიქრებული იჯდა ერთი დაწესებულების კაბინეტში სავარძელში და მძაფრად ეწეოდა თუთუნს ჩიბუხით.

მას მინდობილი ჰქონდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გეგმის დამუშავება.

მავნებლიძემ იცოდა, რომ ბოლშევიკები ფართე აუპარეზის ხალხი არიან და მათი მიზნები მსოფლიოს სივრცით განისაზღვრებიან.

მიიღო რა მხედველობაში ეს გარემოება, მავნებლიძე შეუდგა ფართე გეგმის შედგენას.

გეგმა ეხებოდა სოფლის მეურნეობის ერთი ნაყოფის განვითარებას, რომელიც ეხლა შემოდიოდა ჩვენში.

მავნებლიძის აზრით, ამ ნაყოფს უნდა გაედევნა მინდვრებიდან სხვა დანარჩენი ნაყოფები და მარტო მას დაეჭირა მიწების მთელი სივრცე.

შეადგინა რა ასეთი ვრცელი გეგმა შესაფერი ხარჯთაღრიცხვით, წარუდგინა დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელსაც მჭერმეტყველურათ დაუმტკიცა მისი დადებითი მხარეები.

იქნა რა მიღებული და დამტკიცებულიმავნებლიძის გეგმა, დაწესებულების მრავალრიცხოვანი შემადგენლობა შეუდგა მის განსახორციელებლათ მუშაობას.

მივლინებული

— „მხურვალე მონაწილეობა მიიღეთ"-ო... ასეთ სიცივეში მხურვალე მონაწილეობა როგორ მივილო?!

პირველათ ყოვლისა შემუშავებული იქნა შესაფერი ანკეტა ასოცდა ხუთი შეკითხვებით. დაგზავნილი იქნენ ადგილებზე ინსტრუქტორები. მათ უკან მიჰყვენ გამოცდილი და გამოუცდელი სპეცები.

გაჩაღდა მიწერ-მოწერა და მიმოსვლა...

თავი მეორე.

ივანე პეტრესძე მავნებლიშვილი ღრმად ჩაფიქრებული იჯდა მეორე დაწესებულების მეორე კაბინეთის სავარძელში და მძაფრად ეწეოდა თამბაქოს ყალიონით.

მასაც მინდობილი ჰქონდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი სამეურნეო გეგმის დამუშავება და სწორეთ ამის ფიქრში იყო ის გართული იმ დროს, როდესაც ჩვენ მას შევხვდით.

მავნებლიშვილმაც კარაგად იცოდა ბოლშევიკების მისწრაფებათა მსოფლიური ხასიათი და ამიტომ თავისი გეგმაც ამ მოხაზულობით აიღო.

მისი გეგმა ეხებოდა სოფლის მეურნეობის მეორე ნაყოფის განვითარებას, რომელიც დიდი ხანია შემოსული იყო ჩვენში, მარა არ ვრცელდებოდა. მიუხედავათ ამისა, მავნებლიშვილის აზრით, მას უნდა გაედევნა მინდვრებიდან სხვა უფრო გავრცელებული ნაყოფები და მთლიანათ დაეჭირა მათი ადგილი.

ამისდა მიხედვით შეადგინა მავნებლიშვილმა თავისი გეგმა შესაფერი ხარჯთაღრიცხვით და წარუდგინა დაწესებულების გამგეს, რომელმაც ცოტა ყოყმანის შემდეგ დაამტკიცა ის.

ამ გეგმის შესრულებასაც შესაფერი გულმოდგინებით შეუდგენ ამ დაწესებულების თანამშრომლები, რომელთა რიცხვი შევსებული იქნა ახლად მოწვეულებით.

ვინაიდან დაწესებულების გამგეს არ უყვარდა ანკეტები, ამიტომ აღრიცხვის ფურცელი განსაზღვრული იყო სამოცდა თოთხმეტი შეკითხვებით და შენიშვნის ადგილით.

აქაც გაჩაღდა მიწერ-მოწერა და მიმოსვლა...

თავი მესამე.

პეტრე ივანესძე ჩხირკედელაძე ღრმად ჩაფიქრებული იჯდა მესამე დაწესებულების მესამე კაბინეთის საკარძელში და მძაფრად ეწეოდა პაპიროზს მუშტუქით.

ჩხირკედელაძის მინდობილი ჰქონდა... და სხვა, როგორც წინა თავებში...

თავი მეოთხე და უკანასკნელი

ადგა შემოდგომა, — ის დრო, როდესაც მინდვრის ყოველი ნაყოფი შეკრეფილი უნდა იქნეს. მაგრამ მოულოდნელათ გამოირკვა, რომ მავნებლიძის, მავნებლიშვილის და ჩხირკედელაძის მიერ დაგეგმილი ნაყოფიერებათა ნახევარიც კი არ მოიპოებიან მინდვრებში.

გამორკვა, რომ მათი გეგმების სრულიათ შესასრულებელი მიწის სივრცე არ მოიპოება ჩვენს პლანეტაზე.

გამოირკვა, რომ ამ გეგმების განსახორციელებელი ხარჯთაღრიცხვები უკვე სრულებით ამოწურული იყვენ.

ამიტომ საჭირო შეიქნა გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღება იმისათვის, რომ მავნებლიძე, მავნებლიშვილი და ჩხირკედელაძე გამგზავრებულიყვნენ სხვა პლანეტაზე, მათი შედგენილი გეგმებისთვის საჭირო მიწის სივრცის საძებნელათ.

ისინი გაემგზავრენ, მარა ბევრ ურწმუნოებს ეჭვი შესდით მათ უკან დაბრუნებაში.

არ არის ამაში დარწმუნებული თვით:

ს. ფ—ია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ახი და კვახი“

Сოფლის კულაკი, ბიკენტი ქინდრაძე ნათლობას აწყობს. დიდი მზადებაა ქინ[illegible]ძის ოჯახში. ჯერ იყო და ცოლის მოყვანას გადააყოლა სოფელი. თითქმის ორი წელი ნადი წავიდა მას შემდეგ, მაგრამ სოფელს ახლაც მშვენივრად ახსოვს ამ ქორწილის ისტორია. რა საზანდარი, რა განათება, რა მაშხალები თუ სხვა სოფლისთვის უჩვეულო სანახაობანი არ იყო ქინდრაძის ქორწილში.

მას შემდეგ დროება საგრძნობლად შეიცვალა და არც თუ ნათლობას აქვს იმდენი მნიშვნელობა ადამიანისთვის, რამდენიც ქორწილს.

მაგრამ ბიკენტისთვის ასეთი შედარება არ არსებობს. ხომ არ ხუმრობთ? ბიკენტიმ ვაჟიშვილის გაკეთება შესძლო და მას იგი ახლა ღირსეულ ნათლობას ვერ გ[illegible]აუხდის?

მამა რომ ამ აზრით არის გატაცებული, ახლად სანათლავის დედას სულ სხვა იდეა ასხამს ფრთებს: მისი ნათლია, ანუ უკეთ—სანათლიო, რომელიც ქალაქიდან უნდა ჩამოვიდეს საგანგებოდ, დიდი ვინმე გოზლა პიროვნება გახლავთ: ნასწავლი, მდიდარი, ახოვანი და წარმოსადეგი გარეგნობის ადამიანი.

მართალია, ხანში შესული კაცის შთაბეჭდილებას კი სტოვებს, მაგრამ კლებით მის გარეგან სილამაზე—სკოტავეს მაინც არაფერი აკლია.

ქოჩორი რა არის, ქოჩორიც კი კოტტად გადავარცხნილ-შეკულულებული უყენია ყალყზე კაკალ კოტა შუბლზე, რაც ხანგრძლივად და, მგონი, მთელ თავის სიცოცხლეში ქალაქში მცხოვრები კაცის თავს საკვირველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

და მართლაც, სანათლიო, აფრასიონ ნებიერიძე ეტლით მოადგა ბიკენტი ქინდრაძის ბინას, ყველა იქ შემსწრემ, ქალმაც და კაცმაც თითქმის ერთხმად წამოიძახეს: „ახ“-ო.

და არა თუ უბრალო ხალხი, თვით მამა თეოფანეც კი, რომელსაც სწავლა სწორედ ამავე ქალაქში ჰქონდა მიღებული, საიდანაც აფრასიონი მოევლინა ახლა სოფელ ანწლიანს, და ამისთვის იქ მამა თეოფანეს, მგონი, ათი-თორმეტი სრული წელიწადიც კი ჰქონდა ნაყურყუტი, აი ეს მამა თეოფანეც კი მოხიბლა აფრასიონის გარეგნულმა ცვლილებამ და ნათლიობის წესის ჩატარების დროს იმდენად გონება არეულად გრძნობდა თავს, რომ, ბებია ქალის ნაცვლად, ხშირად თვითონ პატივცემულ ნათლიას აჩეჩებდა ხელში სხვა და თვით ახლად სანათლავის თავიდან წესისთვის შეკრეჭილი თმის ბღუჯაც კი შეცდომით აფრასიონს მიაჩეჩა ხელში, თითქოს თქმულების გასამართლებლად: „ვისაც მეტი აქვს, იმასვე მიეცესო“.

და მართლაც აფრასიონს არაფერი არ აკლდა, მაგრამ თმა და წვერი პირდაპირ, თავზე საყურელადო, რომ იტყვიან, ისეთი ესხა ლამაზ თავ-პირზე.

მხოლოთ ერთი რამ აკვირვებდა ხალხს. როცა აფრასიონის წვერები სქლად ჭაღარა-შერეული იყო, თმა გიშრის კულულებით ჰქონდა წამოყრილი შუბლზე.

მართალია, საფეთქლებთან ეს თმაც საკმაოდ შემჩხავრებული იყო, მაგრამ მე მოგახსენებთ ქოჩორზე. ეს ქოჩორი არა თუ მარტო მე, ნათლობაში შემსწრე [illegible]რა ერთ ახალგაზრდა თუ ხანში შესულ ქალს უგზნებდა გულში ცეცხლს.

ყველა აფრასიონის ქოჩორს მაჩერებოდა, ყველას ხიბლავდა ეს მამლის კუდივით წამოყელყელავებული ლამაზი კულულები.

„ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდენო“, ნათქვამია: ვინ ღვინოს აწვდის აფრასიონს, ვინ ხილს, ვინ სხვა რამე კერძს.

ერთი ახალგაზრდა ქალი ყველაზე მეტად დაწინაურდა აფრასიონის წინაშე ამ თავაზის ჩენაში და ზეკაკალ შუა ნადიმის დროს აკვნიდან ახლად ამოყვანილი მისივე ახალ მონათლული მიაგება ზე კაკალ გულთან.

აფრასიონმა საერთო მოწონების ხმაზე ბავში აიყვანა ხელში და მკერდში მიიკრა.

პატარა ბიჭი ახლად დატყვევებული ნადირივით აგანგალებდა თავს, იქით-აქეთ თვალებს აცეცებდა და ფხაჭია, ფრჩხილებ - წასაქსაებულ წვრილი თითებით ყველათვის ედებოდა ებღაუჭებოდა. რამდენიმეჯერ წვერებშიც კი სტაცა ხელი თავის პატივცებულ ნათლიას და ღონივრად თავი[illegible]კენ მოსწია, თითქოს ეუბნებოდა: „რა შენი საქმე იყო ჩემი მონათვლაო“.

აფრასიონი სულ დაიბნა და შაქარივით დნობა იწყო ამ საერთო ყურადღების ტალღაში.

მაგრამ აი, სწორეც აქ მოხდა ისეთი რამ, რაც ბრძენს ატუტუცებს და სახელოვანს ატაკიმაჯრებს.

აფრასიონის დაბნეულობით პაწიამ თიქოს იდროვა, თავისი ფხაჭია თათები ზევით აიმართა და აფრასიონის ქოჩორს არწივის სიმალით ხელები ჩაავლო.

მაგრამ თქვენს მტერს, რაც აქ მოხდა. აფრასიონის კოტტა ქოჩორი უცბათ შუბლს დასძვრა და პატრონს ზე კაკალ ცხვირზე ჩამოუვარდა.

პაწია მონათლული ამ დათრეულ ქოჩორს აქაც კი ხელს აღარ უშვებდა, თიქოს მტაცებელმა ფრინველმა ნანადირევი კანჭებში უკვე მოიგდო და ახლა იმის დაკორტნასაც აპირებსო.

ამაოდ იქნევდა კიდევ უფრო დარეტიანებული აფრასიონი ხელებს და ფეხებს. წამხდარ საქმეს ვეღარასფერი ვეღარ გამოასწორებდა.

ამის შემხედვარემ ყველამ, ქალმაც და კაცმაც ერთხმად წამოიძახეს „ახ“-ო.

მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რას მოასწავებდა ეს საერთო „ახ“-ი, როცა, აფრასიონის ქოჩორ - წამოშლილი კოტტა თავის ნაცვლად, მათ წინაშე აღიმართა აფრასიონ ნებიერიძის თეორად მოტვლეპილ - მოტიტვლებული თავის კვახი.

ჰაზირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკდონალდის მემუარებიდან

ამბობენ ხოლმე: „მემუარს უსაქმო კაცი წერსო“. ეს არ არის მართალი. მაგალითად მე პრემიერი ვარ, მაგრამ თავისუფალი დრო იმდენი მაინც მრჩება, რომ მემუარი ვწერო.

თუმცა, ჩემს შორის დარჩეს და, საქმე მაინც და მაინც ბევრი არაფერი მაქვს. რასაც კონსერვატორები და ლიბერალები მეტყვიან, ყველაფერს ვუდასტურებ, მორჩა და გათავდა; რა უნდა ამას ამდენი, არც ასეთი ბრიყვი ვარ (ჭკუა უკვე მასწავლა „24“ წლის გამოცდილებამ), რომ მათ სურვილებს აღვუდგე წინ.

ისე, არც მთლად უპასუხისმგებლო გახლავარ. არც ისე ადვილია ჩემი თანამდებობა, და ისიც ეხლა, როცა მასები მსოფლიო რევოლიუციას მოითხოვენ.

მე მეშინია. დიახ მეშინია—ვაი თუ ჩემი პრემიერობის დროს მოხდეს ეს ამბავი. მაშინ ხომ ამდენი ხნის თავნაკლავი ჩვენი სახელმწიფო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სისხლითა და ძვლებით შეუხოხოლებია აწ სამუდამოდ (ოოჰ!) განსვენებულ მეფეებს, დაინგრევა? დიახ, ეს მაშინ ასე მოხდება და მე ეს მაშინებს, თავზე თმას ყალყზე მიყენებს.

ჩვენი ლომი ავად არის. საწყალს რამდენი უნადირია ჩვენთვის!

ამ სიბერის დროს ბეითლობა უნდა შევისწავლო, რომ ჩვენს ლომს კარგად ვუაქიმო. ვინ იყო ის, რომ მითხრა თავისი ხალხის თქმულება: „სიბერე—სიქაჩლეო“... ვინ იყო, ვინ? ეჰხ, სიბერეე შენ რა გითხრა, შენი ბრალია რომ დამავიწყდა. (თუმცაღა მე კი არა, თავისი ბალხსაც აღარ ახსოვს იგი, ვინც მე ეს თქმულება მითხრა).

ჩემზე ამბობენ მუშები: „ბურჟუაზიის ყურმოჭრილი მონაა“.

ეს კომუნისტების მოგონილია.

ეს ოხერი ყურები ხომ კი მაქვს თავზე და ნუ თუ ვერ ხედავენ?! ყურები რომ მოეჭრათ, ამას ვერ გავიგებდი თუ?! არა, ყურები თუ მოჭრილი მაქვს, მაშ როგორ არის, რომ კონსერვატორები და ლიბერალები ხშირად მიწევენ ყურებს, როცა სიტყვა წამომცდება შეცდომით და გულმავიწყობით მუშებზე! არა! ვერც ერთი კომუნისტი ვერ დამარწმუნებს, რომ მე ყურები არა მაქვს.

მაინც რომ ვერ გავიგე—თუ რა უნდა ამ ინდოეთს!? მარტოდ და დამოუკიდებლად ყოფნა რომ კარგი იყოს, ჩვენ, ინგლისელებს ვინ მოგვასწრებდა ამას? მაშ რისთვის ვიპყრობდით სხვის ქვეყნებს? მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უმჯობესია მრავალი სხვისი ქვეყნების შემოერთება. ეს ანბანური ჭეშმარიტება არ ესმის ინდოეთს. უმადური იმასაც კი ვერ ხედავს, თუ რამდენი ხარჯები გვაქვს მისგან. მარტო ყუმბარები იხარჯება ინდოეთში რამდენიმე მილიონ დოლარის.

ისინი კი შემომსხდარან აქ მრგვალ მაგიდაზე და დამოუკიდებლობას თხოულობენ.

მოითხოვონ რამდენიც უნდათ. ორი ყური იმიტომ მაქვს, რომ ერთში გაგონილი, მეორედან გამოუშვა.

რინ-ტინ-ტინ.

მაკდონალდი—ბეითალი

— ამ სიბერის დროს ბეითლობაც უნდა შევისწავლო, თორემ ცუდად არის ჩვენი ლომი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილოცვა ონის აღმასკომს

(სახანძრო საღებურის და საგუშაგოს გადაგუგვის გამო)

გულის ფანცქალით გადავიკითხეთ გაზეთებში გამოქვეყნებული სასწრაფო ცნობა ონიდან, რომ 16 დეკემბერს ღამით ცეცხლი გასჩენია სახანძრო რაზმის საგუშაგოს, გადამწვარა სახანძრო საგუშაგო, სახანძრო სადგური და სახელგამის წიგნის მაღაზია.

ვჩქარობთ გადმოგცეთ ტარტაროზული მოლოცვა იმის, რომ თქვენ უვნებლად გადარჩით. მართალია, სამწუხარო ფაქტსაც ჰქონია ადგილი ამ ხანძრის დროს: გადამწვარა სახელგამის მაღაზია, მაგრამ ერთი წუთითაც ნუ მიეცემით დარდს, ეყოფა ამაზე ფიქრი და დარდი სახელგამს, რომელსაც ვერ ვაპატიებთ იმ უხეშ შეცდომას, რომ მან თავისი მაღაზია თავიდანვე საფრთხეში ჩააგდო, გახსნა რა იგი ცეცხლისათვის საშიშ დაწესებულების, — ონის სახანძრო რაზმის საგუშაგოს მახლობლად.

რაც შეეხება ონის სახანძრო რაზმის საგუშაგოს და სახანძრო სადგურის გადაწვას, თქვენც დაგვეთანხმებით, რომ ეს უსათუოდ მეტად სასიხარულო და მოსალოცი ამბავია. რას ამბობთ! ისეთი ორგანიზაციის ლიკვიდაცია, რომელიც ხელს უწყობდა ქ. ონში ცეცხლის გაჩენას და გავრცელებას, — განა ხუმრობა საქმეა!?

ქალი: — მე თანახმა ვარ ცოლად გამოგყვე, მაგრამ მშობლები უარს იტყვიან!

ვაჟი: — აბა გაბედონ უარი და მე ვიცი მერე, — სულს გავაგდებინებ მაშინვე.

განსაკუთრებით ის არის აღსანიშნავი, რომ ამ სახიფათო დაწესებულების — სახანძრო სადგურის ლიკვიდაციისათვის თქვენ არავითარი ხარჯების გაღება არ დაგჭირვებიათ, და ეს მომხდარა თვითლიკვიდაციის წესით.

სრული დარწმუნებული ვართ, რომ ონის სახანძრო სადგურის თვითლიკვიდაციის შემდეგ ონის მშრომელი მოსახლეობა თავს იგრძნობს დაზღვეულად ხანძრის ყოველგვარი საფრთხისაგან და კიდევ მეტი ხალისით და ენერგიით ჩაებმება სოციალისტურ მშენებლობაში.

გადაეცით ადგილობრივ ორგანიზაციებს ჩვენი ტარტაროზული მილოცვა და ჩვენი გადაწყვეტილება, რომ ადგილას, სადაც ონის სახანძრო სადგური დაიფერფლა, გადაწყვეტილი გვაქვს აღვმართოთ ძეგლი წარწერით:

„ცეცხლმა მშვა და ცეცხლმა მზარდა

ცეცხლმა მომცა ყოველივე:
ხალხის მშვიდათ ყოფნისათვის
ჩემი თავი ცეცხლსვე მივე“.

ტარტაროზის დავალებით:
სეგეარ-ბენ-შეიხ.

სამტრედია

დამლალა ფიქრმა აღმასკომზე; გული ღონდება,
რა იქ მჯდომარე საქმმართველი მომაგონდება.
ლიპას უხმობენ მას სახელად, მწყრალი სახისა.
თუ ნახეთ იგი მის ადგილზე, კაცსა ეღირსა.
დარბის ქაქანებს უსაქმურად ყველას „ბებია“.
იქ ფანჯარასთან მას გლეხები ელოდებიან.

განათლების განყოფილება იწურვის ოფლში,
ლუკა ცინცაძე არ მოგხედავთ თუ არ აქვს ხოში.
ქვეყანამ იცის მისი წარსული თუ რაც კაცია;
სად არ ყოფილა და ყოველგან უთხრეს „ბრანწია“,
თუ არ გასწორდა, და დაიწყო აქაც „ანგლური“
მაშინ, ტარტაროზ, წამალია შენი პანღური...

თანაშემწე ჰყავს მას ტაბიძე, თვალტანად კარგი ბიჭია.
რა ქნას თუ პროტექციისა თან დაყოლია ნიჭია.
რა საჭიროა მთლად მოვყვე, მიხვდება რაზეც ვანიშნე,
ხომ გახსოვს აქვე შვიდ წლედში ვანო ძმა-ბიჭი დანიშნე!.

ღამით ყინვები, დღისით—მზე, რა მშვენიერი დარია?
ამ ჩვენი ფოსტის საქმენი, ნეტა, რამ არივ-დარია?
დამტარებლები არა ყავს, ეს ძნელად მოსათმენია;
წერილი, ჟურნალ-გაზეთი არ მოგვდის კვირა თვენია;
მე პირში მიყვარს მხილება, რისთვისაც ბევრი მწყრალია,
არა ვსთქვა, როგორ დავფარო, ბოლმა ყველაზე მწარია.

ბრაგუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი კვაჭაძე ათი წელია, რაც თბილისში ცხოვრობს. რამდენიმე წელი ერთ ნესტიან ოთახში გაატარა ცოლშვილით, მაგრამ შემდეგ „ბედმა“ გაუღიმა, იშოვა ორი ოთახი და კარებზე დიდი ასოებით წააწერა:

დიმიტრი ივლიანის-ძე კვაჭაძე.

ცხადია ახალმა ბინამ ძალზე გააბარა დიმიტრი, მაგრამ მასზე უფრო მეტ მოყვრებსა და ნათესავებს გაუხარდათ.

— ერთი 15 დღით ტფილისის ჰაერი უნდა ვაყლაპიო ცოლშვილს, ბინა კარგი უშოვია ჩვენს დიმიტრის.

— ცოლს „აბორტი“ უნდა გაუკეთო, ტფილისში, მიმყავს, ბინა ქე მაქვს დიმიტრისას.

— ასწავლებლად ტფილისში მივდივარ, ბინით იოლად გამოვალ, დიმიტრისას ჩამოვხტები! — ამბობდენ დიმიტრის ნათესავები და ტფილისში მოდიოდენ.

მატარებელი ისე არ ჩამოვიდოდა, რომ დიმიტრის სტუმარი არ ჩამოეყვანა.

— დამაქცევს ეს ორი ოთახი! — ფიქრობდა დიმიტრი.

ბევრი ფიქრის შემდეგ ხერხი მოიგონა.

კარებზე შემდეგი წარწერა გამოაკრა:

დიმიტრი თავისი ოჯახობით წავიდა კამანდიროვკაში, როდის დაბრუნდება გამოურკვეველია.

არც წარწერამ უშველა.

გამოსცვალა წარწერის შინაარსი.

დიმიტრი კვაჭაძე გაღავიდა სხვა ბინაზე.

— ბედმა გამიღიმა, ერთი კვირა არავინ ჩამოსულა, დავისვენე!

ეუბნებოდა დიმიტრი ცოლს, რომ ამ დროს კარებზე კაკუნი გაისმა.

დიმიტრიმ კარები გააღო.

— ოჰო, ჩემო დიმიტრი და პასიკო, თქვენი ჭირიმე თქვენი, რამდენი ხანია აღარ მინახავხართ, გაიცანი ეს ჩემი ცოლის და არის, ეს შვილის შვილია, იგი პეტრეს გოგო არის, იმ დასაქცევ ხარმა რქა გაკრა მუცელში და სერიოზნად სჭირდება ექიმობა

სოფ. დიოგი, ბოლრის მაზრა

— ამხ. ხელმძღვანელო, რატომ შეუცვალეთ ჩვენს პიონერთა კოლექტივს სახელწოდება და უწოდეთ — „ოდილავაძის სახელწოდების“?

— იმიტომ, რომ ოდილავაძემ ფული შემოგვწირა.

და შენზე უკეთესისას სად მივიდოდით, ოთახები კარგი გიშოვიათ, ბოდიშს ვიხდი ბევრი ვერაფერი მოგიტანე, მარა ერთი სამი - ოთხი ოყა სიმინდის ღერღილი წამოგიღე, ერთი კვატა, ერთი ბოთლი ჭაჭის არაყი და იაპონიის ხურმა! დაამთავრა სიტყვა სტუმარმა.

თავის გაჭირვება დიმიტრიმ ერთ ამხანაგს უამბო.

— მოგიხერხებ, მოდი ვსცადოთ ჩემი პრაქტიკა, ამელამ ადრე დაწექი ლოგინში, ცოლი დაარიგე, მე სადმე სათვალეებს ვიშოვი, მოვალ შენსას, როგორც ექიმი და მე მერე ვიცი.

დიმიტრი მკვდარივით ჩაეგდო ლოგინში.

მოვიდა „ექიმიც“.

— ვინ არის ავადმყოფი? — მიუთითეს დიმიტრიზე.

— ისუნთქე. ოჰო, სიცხე გაქვს?

— 41 გრადუსი, ბატონო ექიმო„

მუცლის ტიფი და შავი ჭირი გჭირს. თქვენი ადგილიდან დაძვრა არ შეიძლება. უნდა დაგტოგონ, თორემ გადამდებია, ჯობია ერთი მსხვერპლი, ვინემ მთელი ოჯახი! დაარიგა „ექიმმა“.

დიმიტრიმ ერთი კი განგებ დაიყვირა — ვაიმე თაო და ცოლშვილო, რომ სტუმრებმა ხურჯინს ხელი სტაცეს და ოთახი ხელად დასცალეს.

ნათესავებს მოედვა დიმიტრის ავადმყოფობის ამბავი.

— წასვლას ვაპირებდი ტფილისში და კიდევ კაი რომ ხელი შემეშალა და ვერ წავედი.

რაკი გავიგე მისი ასეთი ავადმყოფობა აწი იქითკენ პირს სულაც არ ვიზამ! — ამბობენ ნათესავები.

ივანიკა

ფიქრები ქუჩაში

ეე ამ მუშკაპის ვერა გავიგე!
კრაოტებს, შკაფებს —სულ უწევს ფასებს
ვერ ჯამაგირს როცა ავიღებ,
კიდევ ზემოთ მირბის და გასწევს.
ზოგი ამ ბოტებს მოათლახუნებს,
ჩემთვის „ბატინკის“ ორდერიც გაქრა,
გატრუსულ პალტო ისე მახურებს,
ვჯდები და ვფიქრობ—რა ვუყო? რა ვქნა?

ხშირად ოჯახში დამაყვედრებენ,
არავის მოსწონს ეს ჩემი „რეჩი“.
როგორ ვიყიდო ექვსი თუმანი —
ახლა ეს პაწაწა უსულო „ფეჩი“?
ზოგმა საქონლით სახლი დატენა,
ლიტერ „ა“ წიგნი ვერ ვიგდე ხელში.
ბოლმამ სასულე ისე დატენა,—
ცხელი ალმური ამოდის ყელში. **ძნელ-ოლლი.**

გაპონიადა

გაპონი იყო ხუცესი. 9 იანვარს მან წაიყვანა ხალხი მეფესთან სათხოვნელად. პოლიციამ მშვიდობიან დემონსტრაციას ტყვია დაუშინა და ბევრი ამოსწყვიტა. ამ ამბის შემდეგ მან ანაფორა გაიხადა. როგორც შემდეგ გამოირკვა გაპონი ყოფილიყო ჯაშუში და პოლიციის აგენტი. მოხერხებულ დროს მუშებმა ის შეიპყრეს და ჩამოახრჩვეს.

აქეთ მოთავსებული სურათები გვიხატავენ „9 იანვარს“, როდესაც მთავარი, ხაზინაღარი გმირი იყო ხუცესი გაპონი.

იყო ხუცესი გაპონი ჟანდარმის მეგობარია.

აგიტატორად გამოდის, მას უსმენს მთა და ბარი.

ხალხსა წარუძღვა მეფისკენ იყო ცხრა იანვარია.

იქითაც არის, აქითაც,— ორივესკენ აკვს მსარია.

სფინქსი გამოსცნეს მუშებმა... ყელში თოკთა მკვდარია.

კანდიდატები გენერალ-გუბერნატორების ასარჩევად

ათვალიერებს შინაგან საქმეთა მინისტრი დურნოვო. ჩაწერილებული არიან: ჟანდარმები, პოლიციელები და ოფიცრები, რომლებიც სისხლში ჩაახრჩვეს ცხრაას ხუთის რევოლიუცია.

18 ოქტომბერი 1905 წ.

შაგრაზმელების მიერ მოკლულნ სტუდენტები.

„პეტრუშკა“ (ანუ როლების შეცვლა)



წინედ ჟანდარმი სცემდა, ქვეშ ჰყავდა მუშა-გლეხი...



და შემდეგ ცხრაას ხუთში მას შეუბრუნეს კეხი.

ვიტტე:—„მე ვიცი, როგორ გადავარჩინო რუსეთი“.

სახელმწიფო სათათბირო



ვიტტე კითხულობს მთავრობის დეკლარაციას, რომელსაც „უსმენს“ მხოლოდ ორი ჩამოძინებული პოლიციელი.

სახარების მიხედვით

„კეისარსა—კეისარის, ღმერთსა—ღვთის“. ნახატი გვიჩვენებს თუ როგორ ყალეფდენ ვლეხობას მეფე და ეკლესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიკმახერთა კოლექტივში შეგირდათ მიმიღეს.

მართალია, არც ერთი ჩემი წინაპარი დალაქობას არ ეწეოდა, მაგრამ მე ეს ხელობა ბავშობიდანვე რატომღაც მიზიდავდა.

და, აი, ეხლა შესაძლებლობა მომეცა შევისწავლო პარიკმახერობა და ისიც „დამსკი“ პარიკმახერობა.

შეგირდობა იმას ნიშნავს, რომ შავი, არა სასიამოვნო სამუშაო აკეთო.

ერთ მშვენიერ დღეს ბედმა არა თუ გამიღიმა, გამიცინა კიდეც, ადმინისტრაციამ დამაწინაურა მცირე ხნით შეგირდობიდან პარიკმახერობამდე (ერთ-ერთ მომუშავეს გამოსასვლელი დღე ჰქონდა და ამის გამო).

საპარიკმახეროში ქალი შემოვიდა; არწივისებური გამომეტყველებით. ცრუ კლასიკივით მხიარულად მივეგებე, ოდნავ გამიღიმა, ზანტად ქუდი მოიხადა და სკამზე დაეშვა.

— გაგპარსოთ ქალბატონო? — სრულიად უნებლიეთ თუთიყუშივით წამომცდა მე ენა ჩასაგდებს ეს უადგილო სიტყვები.

სირცხვილით გავიწურე. საბედნიეროდ მან ჩემი ხეპრული მიმართვა ხუმრობაში ჩამომართვა და მადიანათ გაიცინა.

— გამკრიჭეთ „ალეგარსონ“.

წინედ სკოლაში ფრანგულ ენას ვსწავლობდი, ვიცოდი სიტყვა „გარსონ“ „ბიჭს“ ნიშნავდა. (ისიც ვიცოდი, რომ ყოველი მოდა პარიზიდან მოდის).

სასწრაფოდ დავფაცურდი: მოვიმზადე ყველა საჭირო და არა საჭირო ნიკთები: მაშინკები № 1 და № 2, სამართებელი, სავარცხელი, ფუნჯი, ოდეკალონი და სხვა. მალე ქალის ოჭროსფერ თმებზე ავამუშავე „მაშინკა“ ქვეიდან ზევით და... ერთი აღება წინა თმა ავიღე. დამფრთხალა ქალი სკამიდან წამოვარდა და კანკალით შემომყვირა“.

— გაგიჟდი? რა მიყავით!

— ბიჭურად გკრეჭავთ! მახსოვს ფრანგულ წიგნში „გარსონი“ ასე იყო გაკრეჭილი! — ვიმართლე თავი.

საპარიკმახერო ფეხზე დადგა. ზოგი გასაპნული, ზოგი ნახევრად გაპარსული კლიენტები წამოცვივდენ. ჩემმა კლიენტმა ისტერიული ტირილი მორთო და მარმარილოს მაგიდაზე პირქვე დაემხო.

პარიკმახერებმა კონსილიუმი გამართეს — როგორ გამოესწორებიათ ჩემი უხეში შეცდომა.

ვერაფერმა გასჭრა. საბოლოოთ თმის მთლიანი გაკრეჭა გადასწყვიტეს.

გუშინ ის ქალი გამზირზე დავინახე. თავი ინდუსელ მაგარაჯივით ჰქონდა შეხვეული აბრეშუმის თავშლით.

კატი ბუ.

წერილი ჯუმათის თემსაგჭოს მდივანს

ძვირფასო სამურა.

წავიდნენ წელნი ჩვენი მწუხარებისანი და მოვიდა ჟამი ნეტარებისა.

ბიჭო, გასაკვირი კია ამ კომუნისტებს როგორ შევეზარდეთ და მაინც როგორ შეგვითვისეს. ჯერ იყო და კომსომოლებს ტყავს ვაძრობდით, (ხომ გახსოვს სკოლაში რომ გამოსაცვლები მოვაწყვეთ? ალბად ისიც გაგახსენდება — ბუხარში შემალული უკრედის კრებიდან ამბავი რომ გაგვქონდა!).

მამაშენი თოფის ყოველ გასროლაზე მენშევიკების მოლოდინში იყო და ლუკმა ხელში უცვივოდა.

ჩემი ჭკუის სწავლება ღმერთმა დაგიფაროს, მარა მაგ თითებზე რომ თითო არშინი მანიკურები გაგიზრდია, პაწია შეამოკლე, თვარა, ხომ იცი, სხვაფერ იტყვიან.

ჩუმათ მომწერე — ვინ იყო „ჩვენი კაცები“, რომ მდიენობის სავარძელზე წამოგასკუპა და ჩვენი ამბები არ იცოდა?

ბიჭო, რაცხა კიდევ მინდოდა მომეწერა, მარა მეშინია ჯუმათში წერილების გახსნა იციან და არ გაგვიგონ. იყავი მედგრად და ხიშტივით.

შენი ძმა: კოდრატი ჩხარტიშვილი.

წერილის ხელში ჩამგდები: **ყირმიზი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მეგრელიშვილის, ტფილისი.

— რევიზიას ველოდები და ორასი მანეთი მასესხე, „გაიმასქნებული“ ფული უნდა დავფარო. როგორც კი რევიზია გათავდება, მაშინვე დაგიბრუნებ.

ბანსხვავება

ნახ. ლაშხიას, ლანჩხუთი.

კულაკი: — როგორც გეტყობა, ჩემს შემდეგ ვერაფერი შეგიძენია—მწყემსი იყავი და მწყემსადაც დარჩენილხარ!

ეკუ. მოჯამაგირე: — სტყუი! მაშინ შენსას ვწყემსავდი,—ეხლა კი—ჩვენი კოლექტივის!

ნახ. ცქიტიშვილის, ქუთაისი.

— კაცო, ეს ჩაფი და ვედრო აქ რისთვის მოგიტანია?

— მაუ რითი წავიღო ნავთი? სანავთე ჭურჭლები ყველა სავსე მაქვს.

ნახ. ორჯონიკიძის, ქარელი.

— მამის სახელი არ კიწერია განცხადებაში. გადასწერე ხელახლა და ორი-სამი კვირის შემდეგ შემოიტანე.

ნახ. მარლენის, სიღნაღი.

— კაცო, კოოპერატივს რად უნდა ამდენი ოოფები?

— ალბად „მსუბუქი კავალერიის“ თავდასხმას ელოდება და შეიარაღდა.

ნახ. მშვიდობაძის, ზისტალინი.

— ორი კვირაა, ვასო, რაც ჩემი შვილი ცოლად შეირთე და სანახავად გესტუმრე, სადაა ის ცუგრუმელა?

— ერთი კვირაა, რაც გავიყარენით, თქვენი შვილი სხვას გაჰყვა ცოლად.

ნახ. ნინუას.

ნახუცარი:—ორ-სამ ფუთ ხიმინდს ნუ დამამადლი, შენი მტრების მწყევარს. ჩემი წყევლით მალე დაემხობიან კომუნისტები.

კულაკი:—აპა-პა-პა! ავანსებს არ ვიძლევი, ჯერ დაემხონ და გასამრჯელოს მერე მოგცემ.

„მუშკოოპის ზოგიერთ მენავთეებს ნავთი არ დააქვთ გარე-უბნებში და ჰყიდიან ქალაქის ცენტრში.

ნახ. ფეშოს.

იქ ჰყიდის, სადაც გზა არის ქვაფენილ-ფოლოროცოვანი.
ვერ დაიკირავს მენავთეს გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულაკი და ოპორტუნისტი

ანუ

ქვევრს რასაც ჩასძახებ, მასვე ამოძმახებს

„ლ ა ლ ე... ლ ა ლ ე“

(სცენა ქუთაისის „სოგბესი“-ს კანცელარიაში).

თავისი მოშაობის შესამსუბუქებლად პენსიონერთა გაურჩეველი საქმეები „სობესმა“ გადაუგზავნა აგვისტოს პირველ რიცხვებში ქუთაისის განყოფილების სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორს ამხ. პლატონ მიხეილიძეს. ოთხი თვე შესრულდა, რაც ინვალიდები ყოველ დღე დადიან განყოფილებაში, მაგრამ მათი საქმეების გარჩევას არ დაადგა საშველი.

ინვალიდები:

„ჩვენ თუ ბედი გვქონებოდა,
ჩვენს საქმეს აქ რა უნდოდა,
ტფილისში გაირჩეოდა
და ბოლოც მოეღებოდა. ,
ლალე, ლალე,
თარითურა ლალე...

ინსპექტორად დაგვინიშნეს
ამა წლიდან ჩვენ პლატონი,
არ იწუხებს თავს ის ჩვენთვის,
ყმებისათვის ვით ბატონი.
ლალე ლალე,
თარითურა ლალე.

ამ დროს კაბინეტში შემოდის პლატონი, დაინახავს ინვალიდებს და მოუმღერებს დაცინვით.

პლატონი:

—აგერ მოველ პლატონი
თქვენ მოგიკვდეს პატრონი,
ლალე, ლალე,
თარითურა ლალე.

საქმის მწარმოებელი ქალი:

—ჩემი ბრალი არ გეგონოთ,
ვერ ვაკეთებდე საქმესა;
ვერაფერი შევასმინე,
თუმც ვუქადაგე სამ დღესა.
ლალე, ლალე,
თარითურა ლალე.

ინვალიდები:

— სიარული მოგვეწყინა
და ვაცნობოთ ჩვენ ილოსა –
ამისთანა ინსპექტორი,
ტფილისში მიიყვანოსა.
ლალე, ლალე,
თარითურა ლალე.

ქიტესოღლი.

ზ ო გ ი რ ა მ

კულაკები არ სცხრებიან
„ლევაკების“ გასახარათ,
გლეხები პურს ამზადებენ,
ყველას მოაქვთ ზურგათ, ხარათ.
ცეკავშირსაც მოუწყვია
სკოლების წინ ესტრადები;
გაისს მერე ჩვენ გვექნება
უსათუოდ „ტეტრადები“.
საბჭოებიც არ ზრუნავენ,
რომ დახურონ სკოლის „კრიშა“,
წვიმისაგან არ დასველდეს
„უჩენიკი“: სონა, გრიშა...

ბამბის ფრონტზედ გიახელით
და მოვნახე ბრიგადები,
იქ არიან ყველა ჩვენი:
„ოტვეტსტვენი“ – ძმები-დებ
ეუშებს არ აქვთ იქ სადგომი,
ლობიო და ცხელი ღომი,
მაგრამ მათთვის არვინ ზრუნავს:
ცეკავშირი, არც „ხლოპკომი“.
„პრომპტავარიც“ ბლომა არის:
დუხი, პუდრი და „პამადა“,
და დავბრუნდი მე ტფილისში
დამეკარგა ჭამის მადა.

ძველი

დ ე პ ე შ ე ბ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„5 წლედი—5 წლედში“

სოფ. სვირი (ზესტაფონის რაიონი): 1927 წელში დაწყებული ხიდის დამთავრება მდინარე ყვირილაზე აღმასკომმა გადასდო 5 წლედის ბოლმდე. ამავე აღმასკომმა შემდეგი შუამდგომლობა აღძრა საკ. მთავრობის წინაშე: „ვინაიდან მდ. ყვირილაზე ხიდის დამთავრება მოუხერხებელია „5 წლედის 4 წლედის“ განმავლობაში, გთხოვთ ისევ ძალაში დარჩეს ძველებური 5 წლედი, ე. ი. „5 წლედი—5 წელში“.



აღმასკომი ელედობა მთავრობიდან თანხმობას და არხეინად განაგრძობს ძილს.

ლიზაშვილი.

„ცენზი“

ჭიათურა: დეფიციტიან საქონლის განაწილება ხდება ცენზის მიხედვით, ე. ი. საქონელს აძლევენ „შეძლებულ კლასს“, რომელსაც ფული ბლომად აქვს. განაწილების ასეთი სისტემის მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ „სულერთია, ღარიბი მაინც ვერ იყიდისო“.

ბიზ-ხლოპ.

კონტრ-იერიში

ოზურგეთი. აბრეშუმის ქარხნის გადაყენებული დირექტორი ილარიონ კალანდაძე ტფილისიდან დაბრუნების შემდეგ მოულონელად თავს დაესხა ქარხანას, გადააყენა ახალი დირექტორი შაფაქიძე, ძალაუფლება ხელში ჩაიგდო და ისევ გამოაცხადა თავისი დირექტორული ხელისუფლება.

ოზურგეთის ნაპოლეონს „ორი დღე“ არ დასცალდა მეორეჯერ გამეფების შემდეგ. „შეიპყრეს“ და „წმინდა ელენეს“ კუნძულზე მაგიერ გაგზავნეს სოფლის საბჭოში სამუშაოდ და თან მიაკრეს მაგარი საყვედური.

№ 2520.

„ჩინური ფეხები“

კოლბოსულო საჩხერე. მასწავლებლების თხოვნით „ეპომ“ ჩინეთიდან გამოიწერა ფეხების დასაპატარავებელი კალაპოტები, ვინაიდან „ეპო“-ს მიერ დარიგებულ კალოშებში ნომრების სიპატარავის გამო ფეხი არავის ჩაუდის.

ბარამ-ჯიბილ.

არხის გაუვანა

ხონი. ნოქარ ღენტ ქუთათელაძეს წყალი შეუდგა (უფრო სწორად —წყალი შეუყენა გამწმენდმა კომისიამ), მაგრამ დაფაცურდა, არხი გაიყვანა (ე. ი. პროტესტია მოიშველა) და ჯერჯერობით ისევ იქვეა.

№ 2520.

ნახშირისა და აგურის კრიზისი

ქუთაისი (წყაროს ქუჩა). ექიმაშ იულია ჯაბნიძემ, რომელსაც უამრავი პაციენტები ჰყავს, ქალაქში გააძვირა აგური და ნახშირი, როლის ქიმიურ შემადგენლობიდან (წყალში გახსნილი აგურისა და ნახშირის ფხვინილი) თავისი ავათმყოფობისათვის ამზადებს წამლებს. ექიმბაშს განზრახული აქვს ნახშირი გამოიწეროს ჭიათურიდან (გამოდგება შავი ქვაც) ხოლო აგური — შეიძინოს ადგილობრივად ძველი შენობების ნანგრევებისგან.

თეთრამიწელი.

დიდი ამბავი

სადგ. ნავთლული: ამ დღეებში მოხდება საპირფარეშოს საზეიმო გახსნა. შენება გრძელდება ათი თვის განმავლობაში და ხელმძღვანელობდა ცნობილი არქიტექტორი ცატიურიანი.



ზეიმის შემდეგ პანაშვიდს გადაუხდიან ერთი წლის შემდეგ გარდაცვალებულ საპირფარეშოებს. სადგურის ადმინისტრაცია მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ორივე შემთხვევაში.

ადგილობრივი.

თავმჯდომარის განაჩენი

სოფლის აღმასკომის თავმჯდომარეს ძლიერ უყვარდა ყლაპვა.

— მალე ჩვენც გალაგვყლაპავს, თუ ასე ვარონიეთ მის ნებაზე—ამბობდენ გლეხები.

თავმჯდომარეზე სიმღერაც კი გამოიგონეს:

აღმასკომის თავმჯდომარე ულვაშიანო,
გოჭი რატომ შემიჭამე, შე ფაშვიანო!..

სიმღერა მოედო მთელ სოფელს და მახლობელ კუთხეებს.

გაბრაზდა თავმჯდომარე.

— ერთი მომაკვრევია თვალი ვინც მღერის მაგას და უტირებ დედას!—ამბობდა დორბლმორეული თავმჯდომარე.

ერთ საღამოს სოფლის ოთხი ახალგაზრდა ორლობეში ღიღინით მიდიოდენ და ჩვეულებრივ მღეროდენ:

აღმასკომის თავმჯდომარე ულვაშიანო,
გოჭი რატომ შემიჭამე, შე ფაშვიანო.

— აა ხომ ჩაგიგდეთ ხელში! აბა მობრძანდით, ეს ულვაში მომპარსეთ თქვენ, თუ არ გაბანავოთ ვირის აბანოში!— გაბრაზდა შეზარხოშებული თავმჯდომარე!— აბა! წამობრძანდით ჩემთან! —და წინ წაიძღოლა აღმასკომისკენ ოთხი ახალგაზრდა.

— მობრძანდით აქ!—დაიღრიალა მან თავის კაბინეტში,—სადაა ჩემი მილიციონერი?.. მოდი აქ ფიშტარია, დაადექი აგენს თავზე არსად გეიქცენ!—და მიუბრუნდა მათ.—თქვენ რავა ბედავთ ჩემს გინებას? ხელი ჩაავლო პირველს.—შენ ეი! დაგიღია პირი და ბლავი ქუჩაში, შეურაცხყოფას აყენებ ჩემს თავმჯდომარეობას!

— ჩემთან... ჩემთან რა გინდა, ამხანაგო თავმჯდომარე?.. მე, ბანს ვამბობდი, სიტყვები არ მითქვია. მარტო „ოოოოო“-ს ვიძახოდი. ბანს ვაძლევდი!—იმართლა თავი ბანის მთქმელმა.

—კარგი, შენ რაღას ამბობდი ა?—მიაყვირა თავმჯდომარემ მეორეს.

— მეც ბანს ვამბობდი, ამხანაგო; ჩემთან რა გინდა..

— აპა! ვინ ამბობდა პირველს. ა? რომელი ლექსავდა ჩემს შესახებ? თქვით ძალე! შენ ამბობდი?—მიუბრუნდა მესამეს.

— არა, მე მეორე ხმას ვმღეროდი. რასაც ამბობდა პირველი, იმას ვიმეორებდი. პირველს კი ეს ამბობდა.

— შენ ამბობდი პირველს? მე შენ დედას გიტირებ! გადაგასახლებ! შენ იცი მე ვინა ვარ? გაგსრეს! ციხეში ჩაგალპობ!—აღმასკომის თავმჯდომარემ გული იჯერა ლანძღვით და შემდეგ მაგიდას მოუჯდა განაჩენის გამოსატანად.

განაჩენი ასეთი იყო:

1930 წელსა დღესა ნოემბერსა მე-ნ-სა, მე ივანე სარდიონის-ძე ფაშვაძეს აღმასკომის თავმჯდომარეს, შეურაცხყოფა მომაყენეს სიმღერით ოთხმა კაცმა. ამიტომ ვადგენ —მიესაჯოს: პირველი ხმის მთქმელს და მოლექსეს ერთი თვის ციხე, მეორე ხმის მთქმელს, ე. ი. მოძახილს, რომელიც იმეორებდა პირველის ნათქვამს, ორი კვირის ციხე, ხოლო ბანები, რომლებიც არაფერს ამბობდნენ, არამედ მარტო „ოოო-“-ს იძახოდენ, განთავისუფლებულ იქნენ!

მოაწერა ხელი, წაუკითხა განაჩენი და გასძახა მილიციელს:

— აბა, ფიშქარია, მიიღე ზომები!

თავმჯდომარემ თავის გრძელ ულვაშებზე კმაყოფილებით ხელი გადაისვა და წითელ სასადილოსაკენ გზას გაუდგა.

უსტვინე.

ა ი მ ი ზ ე ზ ი

სად. თელავი

— რატომ ამდანხანს ვერ ააშენეთ თქვენი კლუბი?
— როგორ ენდა ავაშენოთ, როცა მწონავმა კალანდა ძემ რაც ქვა იყო კლუბისათვის მოტანილი, ყველა „ტიუკებში“ ჩააწყო ამოღებულ ფ ართლის მაგიერ.

ახალი ამგის მოლოდინში

— მამილო რატომ ხატია დღეს ტარტაროზში ნიანგი; ახალი ჟურნალის გამოცემას ხომ არ აპირობენ ნეტავი?
— მოითმინე შვილო. ერთ კვირაში გაიგებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ამბავი

ჯუმათი (ოზურგეთის რაიონი)

დღეს ჯუმათი კოლექტივის თემია,
განთქმულია თავის უხვი ბუნებით,
მართალია, რაც რომ ისმის ხმებია:
„გავსილი ვართ ყოფილი კაცუნებით“.
ვინ არ იცნობს: თეოფილეს, იაკინთ...
კოლექტივში რომ დაიწყეს ქიშპობა.
„თეზისები“ ზურგზე გოდრით აკიდე...
წმენდის დროზე წახდა მათი ბიჭობა.
ჩამობრძანდა ქალაქიდან „ბელადი“,
ინტრიგა და კინკლაობა დაიწყო.
მოამზადა კულაკები წმენდამდე.
და წმენდაზე ხომ კი იცით რა იყო?
რას არ იზამს პროტექციის ასული,
გოგუასთვის ის არც ისე ძნელია;
ტარტაროზო, ნახე მათი წარსული
და საქმენი საგმირონი, ბნელია.

ყირმიზი.

გ ო დ ო რ ი

პრ. ასკანელს (ბათომი) ალბად თქვენ კარგად გახსოვთ ეს ადგილი თქვენს ლექსიდან:

არ შევდრკები ძველებურად,
სულწინ გავსწევ მედგარ ჩრძოლით
სანამ დროშით, წითელ დროშით
პარიზს არ დავიდგამ ლოგინს.

ლოგინის დადგმა ვერ არის „სადღეისო“ საქმე. ყოველ შემთხვევაში თუ მართლაც ასე ჰქნათ, მუთაქისა და საბნის წაღება არ დაგავიწყდეთ.

მოპარული ფსევდონიმი კი ისევ ბათომში დასტოვეთ, თორემ ასკანელმა პრაკოფიმ თუ ხელში გიგდო თავს ოთხად გაგიპობს.

დ. ოზურგეთს (ოზურგეთი) ორი წლის წინედ მომხდარი ამბავი ეხლა გაგახსენდათ? თუ მაშინ ლექსის წერა არ იცოდით და ამ გარემოებამ შეგიშალათ ხელი? თუ კი ასეა, ორი-სამი წელი კიდევ დაიცადეთ, უკეთესად ისწავლით ლექსის წერას.

დ. ხონელს (ხონი) ბევრ დაუდევრობაზე გვწერთ. მათში ერთი ასეთია:

ალმასკომშიც შევიაროთ,
ვნახოთ სიმონ ტეხნიკოსი.
მას კი თავი ისე მოაქვს
გეგონებათ გენიოსი.
აბანო რომ დაგვიკეტა
და დაადვა მას ბოქლომი,—
მიკვირს ამას უურადღებას
რად არ აქცევს ალმასკომი?

ალბად ვინმესთვის მანდ საჭიროა სხვანაირი აბანო, რომ გამოსწორდეს ყველა ეს ნაკლი.

ავლაბრელს: დაწვრილებით მოგვითხრობთ თქვენს თავგადასავალს და ბოლოს ათავებთ ასე:

და დავკარგე თავი
ამდენ აურ-ზაურში
იმ თავს თქვენ არ მოგცემდით
მანეთს და ცხრა შაურში!

და გვთხოვთ თქვენი თავის დაკარგვის შესახებ განცხადება გავუშვათ ჟურნალში. განცხადება დაკარგვის შესახებ დაახლოებით ამდენი ღირს, ასე რომ დაკარგულ თავის ნახვაში რომ ხარჯს გასწევთ, იმაზე მეტს მაინც ვერ მოიგებთ. ამიტომ არ ღირს ამდენი ხლაფორთი ასეთ პატარა რამის დაკარგვაზე.

ცხვირგრძელს (ქუთაისი) თქვენი ცხვირის სიგრძე ჩვენ არ გვაწუხებს, ხოლო ამ თქვენმა გრძელმა წერილმა ძალზე შეგვაწუხა. ბოლომდე გადავიკითხეთ და, სიმართლე გითხრათ, მართლაც გჯავრებიათ მარილიანი საჭმელი, მაგრამ გვერწმუნეთ, ჩვენ უფრო გვეჯავრება უმარილო წერილი.

პარნასელს (ფოთი) კარგად იწყება „თქვენი“ ლექსი:

ვნახე ერთი მოყმე ვინმე
ჯდა მტირალი წყლისა პირსა.

ალბად თქვენს „სატარტაროზო“ ლექსს თუ კითხულობდა“! პოეტობა ეხლახან დაგიწყია და ასე მალე მიჰყავ ხელი პლაგიატორობას? კიდევ კარგი, რომ ამჟამად მილიციელი არ არის ჩვენს ახლოს, თორემ შოთას გაქურდვისათვის დავაჭერინებდით შენს თავს.

სტუდენტს: შე კაი კაცო, რაღა გაქვს საგოდებელი, თუ კი სტიპენდიას ღებულობ, საერთო საცხოვრებელშიაც ცხოვრობ და ისიც:

მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამთენებელი ღამისა.

კაცს ნაბადი გქონებია და კიდევ ასე მოსთქვამ სიცივეზე?!

მომენატვრა ბუხარი და
ნენას კვერი გამომცხვარი.
არ მეყოფა, რომ დავჯდები
შემწვარი ერთი ცხვარი.

აი, რატომ ყოფილა მამაშენი სახლში ბევრი ძისვლის წინააღმდეგი.

ლოკოკინას (აქვე). გვთხოვთ მოგითავსოთ ლექსი სატრფოსადმი, რადგან გაგზავნა გრცხვენიათ:

შენმა ნახვამ, ჩემო კარგო,
გამაცოფა, გადამრია
და როს სახლში მე დავბრუნდ...
გავაჩინე რია-რია.

ასეთი ლექსის გაგზავნა თუ გრცხვენია, ეს კარგია, მაგრამ რატომ არ გრცხვენია მისი დაწერა და, კიდევ უარესი, მისი ჩვენთვის გამოგზავნა?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამოდენა ყურები გაქვს და რატომ ყურადღებას არ გვაქცევ! რად არ ასრულებ მთავრობის ბრძანებას ჩვენთვის მეტი ყურადღების მოქცევის შესახებ?

რედაქ. სარედ. კოლეგია; ტ. ზ. „მუშას“ გამოცემა სტამბა “კოლექტივი“ მთავლ. № 1319